პარასკევი 1919 წ. თებერვლის 7 № 29
წელიწადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. თებერვლის 7 № 29
ფასი თბილისში ქალაქსა და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ხამსონ საშინოს ძე ასათიანი და შვილები მისნი: ედუსი, ვასასი, მარიამი, აგრაფინა, ეკატერინე, ბიქტორი, ალექსანდრე, ილია, დავითი და კონსტანტინე უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 30 იანვარს, ლეჩხუმში, სოფელს ბორდნალაში გარდაიცვალა მეუღლე პირველის და დედა დანარჩენების

მ რგალიტა (მ გ ტო) ოტია გარდაფხაძის ასული

ასათიანისა.

პანაშვიდი ყოველს დღეს. გამოსვენება და დასაფლავება კვირას, 9 თებერვალს, სოფ. ბარდნალას ღვთის მშობლის ეკლესიის სასაფლაოზე. (5—107—3)

უგულითადესს მადლობას ვუხდით თელავის მეექვსე მსროლელთა პოლკს, მის კომანდირს, ამხანაგებს და პორუჩიკს ი. რცხილაძეს, რომელმაც სომხეთში ტყვეობაში ჭირლობისაგან გარდაცვალებული პორუჩიკი

ალექსანდრე პირილეს ძე პისკუნოვი

ჩამოასვენა და დაასაფლავეს დიდი პატივით თელავში 3 თებერვალს
გულდამწვარნი: ბებია, დეიდები და დეიდაშვილები.
1 2086—1

მოიკითხეთ ყველგან

ღვინო

ჩაჩიბაიასი

ქართველ მებრძოლთ

ქართველთა ლეგიონი იწვევს მოსალისეებს ახალციხეში მოლალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მაპულიშვილნო, ერთხელ კიდევ დავუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა.

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა. მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.
6—2079—4 ლეგიონის სარდალი **ლეო კერეხელიძე.**

ქართული კლუბი 9 თებერვალი

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო მიტინგი

მოხსენებას წაიკითხავენ:

ბერონტი ქიქოძე,
გ. გვაზავა,
შ. ამირაჯიბი,
პართენ გოლუა,
ტიტე მარგველაშვილი,

2—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

შაბათს, 8 თებერვალს, დ. არაყიშვილის 15 წლის სამუსიკო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება:

თქმულება შოთა რუსთაველზე

მონაწილეობენ: შულგინა, სპიტკო, აგასოვისა, სარაჯიშვილი, პოლიევი და ინაშვილი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 9 თებერვალს, დილით—„რუსლან და ლიუდმილა“, საღამოთი—პოლიევის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება „მეფის ხარძლო“, სამშაბათს, 11 თებერვალს მ. ალეშკოს ბენეფისი „ტოსკა“.

ქართულ კლუბის თეატრი

ქართულ დრამატიულ სტუდიის მიერ

შაბათს, თებერვლის 8-ს, 1919 წელს წარმოდგენილ იქმნება პირველად ქართულ სცენაზედ

ვითა ფოთლები...

პიესა 4 მოქმედებად ჯაკოსისა, თარგმანი გ. ჯაბადრისა.

დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე.

100 მეორე ზარის შემდეგ დარბაზში ადგილავენ შეიშვება. 2—1

ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი

„საქართველო“

1919 წ. ეროვნული დემოკრატია 1919 წ.

გაზეთი თებერვლიდან წლის დამლევამდე ღირს 135 მანეთი.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5,) (ქართული ქარვასლა).
ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
ტელეგრამისთვის: თბილისი, „საქართველო“, ტელეფონი № 15—73.

კონტორა ღიაა დილით 9—3 საათამდე.

ფინანსიური პრიზისისათვის

ომისა და რევოლუციის ხანაში მდიდარ და ღონიერ სახელმწიფოებსაც არ აქვთ ნორმალური ბიუჯეტი. გასაკვირალი არ არის, რომ დღემდე ჩვენი სახელმწიფო უბიუჯეტოთ სცხოვრობდა. მაგრამ რვა თვის დამოუკიდებელი არსებობის შემდეგ ჩვენ დაახლოებით შეგვიძლიან გამოვარკვიოდ როგორც სახელმწიფო შემოსავლის, ისე გასავლის მთავარი სტატიები.

როგორც ფინანსთა უწყების ცნობებიდან სჩანს მოსალოდნელია, რომ წელს სახელმწიფო სალაროში ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი შემოსავლის სახით დაახლოვებით 240 მილიონი მანეთი შემოვა. შემოსავლის უმთავრეს სტატიას წარმოადგენს ერთდროული პირდაპირი გადასახადი, რომელმაც ვარაუდით 76 მილიონი მანეთი უნდა მოგვცეს; შემდეგ მისდევს თამბაქოსა და ღვინის ბაჟი, სხვა და სხვა ჩვეულებრივი გადასახადები და სახელმწიფო რეგალიები: რკინის გზიდან მაგალითად 55 მილიონი მანეთს უნდა ველოდეთ.

სრული შეუსაბამობა არსებობს სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შორის: ეს უკანასკნელი წელს საუკეთესო შემთხვევაში 600 მილიონ მანეთს მიაღწევს. აქედან ნახევარზე მეტი, დაახლოებით 325 მილიონი, სამხედრო უწყებას დასჭირდება, თითქმის მეოთხედი რკინის გზის წარმოებას, ხოლო დანარჩენი განაწილდება სხვა და სხვა უწყებებს შორის. ამგვარად ხაზინას მოელის თითქმის ოთხასი მილიონი მანეთის დეფიციტი, რომლის დასაფარავად საგანგებო ზომები უნდა იქმნას მიღებული.

როგორც ფინანსიური კომისიისა და მთავრობის წარმომადგენელთა აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან გამოირკვა, პირდაპირი გადასახადების ჭახრაკი იმდენად მჭიდროდ იქნება მოჭერილი, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელს პირობებში. შესაძლებელია მხოლოდ ზოგიერთი ახალი არაპირდაპირი გადასახადის შემოღება, მაგალითად ნავთზე, შაქარზე და სხვა მასიურ მოსახმარ საგნებზე. მაგრამ საერთოდ ფისკალური ზომებით შეუძლებელი იქნება სახელმწიფო შემოსავლის საგრძნობლად გადიდება.

მეორე მხრივ ძნელია, თითქმის შეუძლებელიც გასავლის შემცირება. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მეტს ხარჯს ჯარი მოითხოვს. დღევანდელ გამოურკვეველ პირობებში, როცა სახელმწიფო მოულოდნელი თავდასხმისაგან სრულიადაც უზრუნველყოფილი არ არის, ზედმეტია სამხედრო ძალის შემცირებაზე ლაპარაკი. სასურველია მხოლოდ, რომ ის მილიონები, რომელსაც სამხედრო უწყება ნსთქავს, რაც შეიძლება მიზან შეწონილად იხარჯებოდეს. შედარებით უფრო ადვილია სხვა ხარჯების შემცირება. მოლოდინის წინააღმდეგ დემოკრატიული რესპუბლიკის აპარატი მეტის მეტად ძვირად გეჯდება. ჩვენ გვაქვს თერთმეტი სამინისტრო შესაფერი კანცელარიებით და მოხელეთა არმიით, რომლის შენახვა მძიმე ტვირთათ აწვება სახელმწიფოს სალაროს. აუცილებლად საჭიროა ამ ბიუროკრატიული მექანიზმის განმარტიდება. ეს კი მხოლოდ შტატების შემცირებით შეიძლება. მაგრამ შტატების შემცირებასთან ერთად უნდა მოხდეს დღევანდელი მიზერული ჯამაგირების გადიდება, რათა თვითეულმა მოხელემ სახელმწიფოს შრომას მაქსიმუმი მისცეს.

ამგვარად ცხადია, რომ ჩვეულებრივი ზომებით შეუძლებელია სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შეთანხმება და მოსალოდნელი დეფიციტის თავიდან აცილება. ასეთ პირობაში სახელმწიფო იძულებული ხდება არაჩვეულებრივ ზომებს მიმართოს. ჯერ ასეთ ზომათ სესხის აღებაა მიჩნეული. მთავრობის წრეებში დიდს იმედებს ამყარებენ საგარეო სესხზე ჩვენ ეს იმედები სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. წინად გერმანიაში გადადგმულმა ნაბიჯმა დაგვანახვა, რამდენად ძნელია დღეს ევროპაში სესხის განაღდება. მას შემდეგ ფულის ბაზრის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. შეთანხმების სახელმწიფოები დატვირთულნი არიან ვალით, ძვირფასი ლითონი ამერიკაში გადასახლდა. ამერიკასთან ჯერ ჩვენ პირდაპირი კონტაქტი არა გვაქვს, სხვაგან კი ქრონიკული დეფიციტების დასაფარავად დიდს თანხას არ გვასესხებენ. გავიხსენოთ, რომ თვით გერმანია ორმოცდა-ათ მილიონ მარკას მხოლოდ საკუთარი ვალიუტის შესაქმნელად გვაძლევდა და ამის თვის თითქმის მთელი საქართველოს დაგირავებას ითხოვდა.

როგორც პოლიტიკურად, ისე ფინანსიურადაც სახელმწიფოს უმთავრესად საკუთარი რესურსების იმედი უნდა ჰქონდეს. ჩვენ არა ერთხელ გვითქამს რომ ფინანსიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო ვალდებულია საადგილმამულო ფონდი გამოიყენოს. ეს ფონდი უნდა გაიყიდოს ნორმალურ, ბაზრულ ფასებში. ამ გზით ხაზინა ადვილად მიიღებს ნახევარ მილიარდ მანეთს, რომელიც საკმაო იქნება როგორც აგრარული რეფორმის ხარჯებისა ისე მოსალოდნელ დეფიციტის დასაფარავად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სახელმწიფოს მოელის გაკოტრება, რომელსაც აუცილებლად უცხო ძალის ფინანსიური კონტროლი და სუვერენიტეტის შეზღუდვა მოჰყვება.

მოქალაქენო! საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იცავს საქართველოს რესპუბლიკური წესწყობილების სიმტკიცეს, ეერძო საკუთრებას, კანონს და წესიერებას. მიეცით ხმა სიას № 2.

საარჩევნო კამპანია

III

საქართველოს გამოფხიზლება სოციალისტური ბურანისაგან აუცილებლად საჭიროა, თუ არ გვინდა ყველაფერი დავკარგოთ. სამწუხაროდ, ეს ადვილი საქმე არ არის. ოცდა ხუთი წელიწადი სიტყვით და კალმით ხალხს ჩასჩიჩინებდნენ, რომ მუშა ხალხის ინტერესი ეწინააღმდეგება ყველა დანარჩენი კლასების ინტერესებს, რომ მუშა ხალხს ჰყვლეფავენ გაბატონებული კლასები და ამიტომ საჭიროა მხოლოდ ბრძოლა ამ მოწინააღმდეგე კლასების დასამხობად. ამისთანა მოძღვრებით, რასაკვირველია, თანდათან წაიშალა ყოველი შეგნება ეროვ. ინტერესების ტ ეროვნული ღირსებისა. თვით ჩვენი სამშობლოს სახელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიამ ამოშალა თავის პროგრამიდან და განდევნა სიტყვიერი ხმარებისაგან; პარტიამ დაირქვა „რუსეთის“ სახელი და ხალხის ყურადღება და ფიქრი მოაბრუნა რუსეთის პოლიტიკური ცენტრისაკენ. წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როცა დაინგრა რუსეთი, და საქართველო თავისთავად თავისუფლდებოდა, ჩვენი სოციალ-დემოკრატია ყოველი ძალით და ღონით ებრძოდა ამ განთავისუფლებას. იგი არ ერიდებოდა არც მუქარას და აც ძალადობას. მოიგონეთ ტელეგრამა, რომელიც იყო გაგზავნილი პეტროგრადში, როცა კიტა აბაშიძე დანიშნული იქმნა ამიერკავკასიის კომისრად. „არ შეიძლება მისი დანიშვნა, იგი არ არის მომხრე რუსეთის ერთი ცენტრისაო“, სწერდნენ აქედან დროებითი მთავრობას ჩვენი მაშინდელი, საქართველოს დამოუკიდებლობის დაუძინარი მტრები. ბევრი იყო ამისთანა ამშფოთებელი მომენტები.

მაგრამ საქართველო მაინც განთავისუფლდა თავისთავად, ჩვენი სოციალ-დემოკრატების სურვილის წინააღმდეგ. იგი მოსწყდა რუსეთს და მოულოდნელად გახდა თავისუფალი ქუნძული. რა თქმა უნდა, ამისთანა პირობაში მართვა-გამგეობა უნდა აეღო თავის ხელში ადგილობრივ ხალხს, აეღო დროზე და დაუყოვნებლივ ეწარმოებინა თავისი სახელმწიფოებრივი საქმეები. მაგრამ სად იყო ხალხი? იგი გაქცეულიყო ოყო კლასობრივი ბრძოლის იდეით და ვერ წარმოედგინა, რომ არის მეორე ბრძოლა, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი—ბრძოლა ეროვნულ - სახელმწიფოებრივი; იგი მისი მეთაურების რჩევით შეჰყურებდა პეტროგრადს და ვერ წარმოედგინა, რომ თბილისი გახდებოდა პოლიტიკური ცენტრი მისი ცხოვრებისა; იგი ებრძოდა „გაბატონებულ კლასებს“ და ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ბათუმის დაცვა; იგი ფიქრობდა, რომ ერთა შორის მხოლოდ სოლიდარობა არსებობს და, ვერ მიმხვდარა, რად უნდა ესროლოს თოფი ოსმლეთის ასკერს ან სომხეთის ზინვორს... ერთის სიტყვით ჩვენმა ხალხმა დროზე ვერ გაიგო და ვერ შეიგნო, რომ არის ერთი მისგან დაეიწყებული სიტყვა—სამშობლო.

აქ ბრალი მიუძღვისთ განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს. ისინი იყვნენ წინაადმდეგნი ამ უაღრესი შემეცნებისა და ოცდახუთი წელიწადი იმის მუშაობაში იყვნენ, რომ აღმოეფხვრათ იგი ხალხის გულიდან. რას იფიქრებდნენ, რომ ბედი ისე დატრიალდებოდა, რომ მათვე მოუნდებოდათ ამ სიტყვის მოვლა და თაყვანება, ვინაიდგან სწორედ ეს სიტყვაა ყოველი სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძველი. სამშობლოს იდეასთან არის შეკავშირებული შეგნება ეროვნული ღირსებისა და უფლებისა, და თუ გნებავთ ააშენოთ სახელმწიფო უნდა უფრო და უფრო გააღვივოთ ეს შეგნება. ეს აუცილებლობა.

აქედან გამომდინარეობს ის ტრაგი-კომიკური მდგომარეობა, რომელშიც ჩაცვივდნენ ჩვენი სოციალ-დემოკრატები. ისინი ეროვნების წინაალმდეგნი იყვნენ, ახლა იძულებულნი არიან თვით დაემყარონ ეროვნებას; ისინი მუშათა კლასსი იცავდნენ, ახლა იძულებულნი არიან სხვებსაც გაუწიონ ანგარიში, აქამდე სახელმწიფოს ებრძოდნენ, ეხლა—სახელმწიფო უნდა ააშენონ.

ასეთია ირონია ისტორიისა. ამ ირონის მისაჩქმალავად სოციალ-დემოკრატებმა სხვა ვერა მოახერხეს რა, მხოლოდ დაიწყეს სიტყვების შეცვლა. სამშობლოს უწოდეს დემოკრატია, პოლიტიკურ თავისუფლებას—რევოლუციის მონაპოვარი, მტერს—ავანტიურისტი და სხვა. ამიტომ, როცა უნდა ითქვას: „ჩვენს სამშობლოს დაეცა მტერი და თავისუფლება განსაცდელშია“, სოციალ-დემოკრატები ამბობენ: „ჩვენს დემოკრატიას თავს დაესხნენ ავანტიურისტები, საფრთხეშია რევოლუციის მონაპოვარიო“. ამისთანა ლექსიკონით უნდათ მიაფუჩეჩონ მათი პროგრამის გაკოტრება და სრული შეუსაბამობა ჩვენი ცხოვრების პირობებთან. მაგონდება ცნობილ ჟორესის სიტყვები: „როცა ვეღარ სცვლიან ხოლმე მოვლენებს, მაშინ სცვლიან-მათ სახელებს და ჰგონიათ, რომ საქმე გაკეთდესო... კაცობრიობას ისე მცირე შერჩენია უბრალო სიამოვნება, რომ მე ჩემს თავს ნებას ვერ მივსცემ, გამოვაცალო მას ეს ტკბილი თავის მოტყუებაო“.

მაგრამ ამის თქმა შეეძლო ჟორესს, დიდის და განმტკიცებული სახელმწიფოს შვილს. ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ სახელმწიფოს შენებას და პირდაპირ სავალდებულოა დაჩქარებით გავუნიაოთ სოციალ-დემოკრატებს ეს ილიუზიები და აშკარად დავანახოთ მათ, რომ სახელწოდების გამოცვლით არ იცვლება თვითონ მოვლენა და მისი რკინის კანონები. თუ სახელმწიფოს ვაშენებთ, უნდა ვაშენებდეთ ისე, იმ წესით და კანონებით, როგორადაც იგი აშენებულა ყველგან, და ხალხსაც ველაპარაკოთ არა გამოგონილის და გაუგებარი სიტყვებით, არამედ ნამდვილი სახელმწიფოებრივის ენით. მაშინ განმტკიცდება სახელმწიფო და მისი დიადი ღირებულება დაიჭერს შესაფერ ადგილს ხალხის შეგნებაში.

მაშინ ხალხიც გამოფხიზლდება სოციალისტური ბურანისაგან.

გიორგი გვაზავა.

მოქალაქენო! ეროვნულ - დემოკრატიული პარტია იცავს საქართველოს ტერიტორიალურ მთლიანობას. მიეცით ხმა სიას

№ 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ბრემენში მდგომარეობა გამოურკვეველია. ცენტრალურ საბჭოს მოთხოვნით დათხოვნილ უნდა იქმნეს ბრემენის კომისართა საბჭო. ახალ მთავრობას დამფუძნ. კრების მიხედვით აირჩევენ.

დიდ სახელმწ. წარმომადგ. შემდგარ კომიტეტმა ჩეხო-სლოვაკთა მოთხოვნილებანი გაარჩია.

ბერნის ინტერნაციონალურ სოციალისტურ კონგრესზე 4 თებერვლის სხდომაზე პასუხისმგებლობის საკითხი გაირჩა.

პრესსა

„ერთობა“ და ქართული ენა.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ორ თებერვალს სომეხმა და რუსმა მასწავლებლებმა დემონსტრატიულად დასტოვეს მასწავლებელთა კრება, რადგანაც კრებაზე ლაპარაკი ქართულ ენაზე სწარმოებდა.

ამ საკითხს ეხება „ერთობა“ და, როგორც მას შეშვენის, წერილს აბდაუბდით ათავებს.

„ერთობა“ სწერს:

„როცა ჩვენ სახელმწიფო დაწესებულებაში შემოგვაქვს ქართული ენა—ეს ხდება ხალხისთვის, რომელიც ამ დაწესებულებებით სარგებლობს. მაშასადამე ეს დემოკრატიული ზომაა. მაგრამ როდესაც ნაციონალიზაცია შემოაქვთ ინტელიგენტთა კრებებისთვის, ეს ხდება მხოლოდ ამ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფის სასარგებლოთ და ხალხის საზიანოთ. მაშასადამე აქ დემოკრატიული არაფერია“.

ჩვენ მოუწოდებთ მკითხველს ჩაუკვირდეს ამ ამონაწერს. აქ ყველაფერი სისულელემდეა მიყვანილი. სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი დემოკრატიული ზომა ყოფილა. იმავ სახელმწიფოს ინტელიგენტ მოქალაქეთაგან კი სახელმწიფო ენაზე ლაპარაკი არა დემოკრატიული ზომაა.

ასეთ მარგალიტ აზრების ავტორებთან კამათი საზოგადოთ ძნელია. მაგრამ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სისულელე აქ ბოლომდეა დაყვანილი და ჩვენ გვსურს მოუწოდოთ „ერთობის“ მკითხველებს, რათა ამისთანა ლოღიკას არ აჰყვნენ.

გამოდის, რომ მილიციონერს შეუძლიან ქართულათ ლაპარაკი, კომისარს ხომ შეუძლიან და შეუძლიან, შეუძლიან ალბათ მინისტრსაც, მაგრამ თუ ქართველმა მასწავლებლებმა გამართეს კრება, მათ ამის უფლება არ უნდა ჰქონდეთ.

რატომ?

— იმიტომ რომ მასწავლებლები ინტელიგენტები ყოფილან.

აქამდის ჩვენ ვფიქრობდით რომ „ერთობის“ პუბლიცისტებიც ინტელიგენტები იყვნენ.

ამ საფუძვლით აღარც მათ უნდათ სწერონ ქართულად.

განა „ერთობის“ რედაქცია საპოლიციო კომისარიატია, რომ იქ ყველაფერი ქართულ ენაზე სწარმოებდეს.

მთავრობის წრეებში
იუსტიციის სამინისტროში

სილნაღის სამომრიგებელო ოლქში. სილნაღის სამომრიგებელო ოლქის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერობათა მიერ არჩეულ მომრიგებელ მოსამსახურეთა მიერ ქოდალის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, ყოფილი უფროსი იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის პირველ (საერთო) განწყობილებისა **შ. გ. ტატიშვილი.**

—

საპყრობილეთა ნაწილის რევიზია. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, დაინიშნა რევიზია თბილისის საპყრობილეთა ინსპექციისა და თბილისის საპყრობილეებისა. რევიზიის წარმოება დაევალა თბილისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს **ალ. ანტ. კარასიოვს.** ამავე დროს სამინისტრომ მიჰმართა თხოვნით სახელმწიფო კონტროლიორს, რათა მასაც დაენიშნა თავისი წარმომადგენელი რევიზიაში მონაწილეობის მისაღებად. სახელმწიფო კონტროლიორმა თავის წარმომადგენლად რევიზიაში დანიშნა უფროსი კონტროლიორი **როლკე.**

—

სენატის დებულება. საქართველოს სენატის დებულება, რომელიც საბოლოოდ იქმნა შემუშავებული ამისთვის საგანგებოდ დანიშნულ კომისიის მიერ, ამ ჟამად ქართულად ითარგმნება (რადგან კომისიაში რუსებიც მონაწილეობდენ, დებულება რუსულად იქმნა შედგენილი) და უახლოეს დღეებში წარედგინება მთავრობას. შემდეგ დებულების პროექტი დამფუძნებელ კრებას წარედგინება განსახილველად.

—

კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული. დაიბეჭდა და დაეგზავნა მთავრობის დაწესებულებათა იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილების მიერ გამოცემული ნომერი „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის“, რომელიც შემდეგში დროგამოშვებით გამოვა, როგორც მთავრობის ოფიციალი ორგანო, საცა უნდა იბეჭდებოდეს ყველა კანონები და რესპუბლიკის მთავრობის ზოგადის ხასიათის განკარგულებანი.

სომხეთი და პონტის (ტრაპიზონი) სახელმწიფო.

ტრაპიზონის ბერძნული გაზეთი „ეპოსი“ შემდეგს იუწყება:

„ბერძნული პონტის რესპუბლიკის ცენტრალი დელეგაცია, რომელიც ამ ჟამად მარსელს იმყოფება, სომხეთის მთავრობის წარმომადგენელ პოლოს ნუბარ-ფაშას შეეთანხმა სომხეთის და პონტის რესპუბლიკის საზღვრების შესახებ. როგორც გადმოგვცემენ შეერთებულ კომისიების მუშაობა კარგად მიდის და იმედია სულ მოკლე ხანში კომისია გადასწყვეტს ყველა სადაო საკითხებს, რასაც ხელს უწყობს ორივ მხარეთა ჭეშმარიტი მეგობრობა და სოლიდარობა.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიაში მყოფი ბრიტანეთის ჯარის სარდალ ფორსტეი—უოკერმა აცნობა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ საქართველოს მთავრობისა და მოხალისეთა ჯარის შორის არსებულ გაუგებრობის გამოსარკვევად სოჭაში იგზავნება ბრიტანეთის ოფიცერი პოდპ. უაიტი, რომელიც იმოქმედებს ჩემს მიერ მიცემულ ინსტრუქციის თანახმად.

ოსმალეთის სახელორო ტყვეები. ამიერ-კავკასიაში მყოფი ბრიტანიის ჯარების უფროსმა გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ იანვრის 29-ს კავკავიდან თბილისში ჩამოსულა 30 ოსმალელი სამხედრო ტყვე. ბრიტანეთის ჯარების უფროსი აღნიშნავს, რომ მას არამც თუ ეწინააღმდეგება ოსმალეთთან დადებულ ხელშეკრულობას, არამედ მავნებელია თვით საქართველოში შემოსვლისა, ვინაიდან ისინი შეეცდებიან ბოლშევიკურ იდეების გატარებას. ამიტომ ბრიტანიის ჯარის უფროსის აზრით ისინი უნდა იყვნენ ბრიტანიის ჯარის ზედამხედველობის ქვეშ, სანამ ისინი ბათომში არ გაიგზავნებიან, საიდანაც ისინი ოსმალთა მთავრობისათვის განკარგულებაში გადაიცემიან.

სახადი თბილისში. ქალაქის საავათმყოფოს გადასადებ სენით ავათმყოფების განყოფილებაში ამ ჟამად 1012 სახადიანი წევს. ამის გარდა ასზე მეტი სახადიანი წევს ნავთლუღის ქსენონში, რომელიც ქალაქთა კავშირმა ამ დღეებში გადასცა ქალაქის გამგეობას. ამ ქსენონში შეიძლება კიდევ 200-მდე სახადიანის მიღება, მაგრამ ამ მოკლე ხანში აქაც აღარ იქნება ალაგი სახადიანის მისაღებათ და ამიტომ ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა გაანთავისუფლოს ვენერიულ სენით ავათმყოფებისაგან ქალაქის ალექსანდრეს სახელის საავათმყოფო დიდი მთავრის ქუჩაზე და მოამზადოს სახადიან ავადმყოფების მისაღებათ.

აკაკისათვის წირვა და პანაშვიდი მთაწმინდის მამადავითის ტაძარში კვირას 27 იანვარს ძველ დროითი ოთხი წლის შესრულების თავზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი საქართველოს ქათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ლეონიდეს მიერ თბილისის სამღვდელოებითურთ ეს პირველი პანაშვიდია დიდი მგოსნების აკაკის და ილიას და თავდადებული დიმიტრი ყიფიანის საფლავზედ თავისუფალ საქართველოში.

დაჭრილები გუშინ 6 თებერვალს თბილისში ჩამოიყვანეს ახალციხის რაიონში დაჭრილი ჯარისკაცების პირველი რიგი. დაჭრილები საავადმყოფოებში მოათავსეს.

„გელიოსი“. ქალაქის მედიკურ სასანიტარო საბჭომ დაადგინა საგანგებო რწმუნებულ ბ-ნ გოპაძის წინაშე შუამდგომლობა აღძრას, რომ ყველა აბანოს მოიჯარადრეებს დაევალოს შეიძინოს მმუსვრელი მანქანები „გელიოსი“ და ყველა საერთო აბანოში მობანავის ტანსახამოსს, სანამ ისინი ბანებას გაათავებდნენ, დეზინფექცია გაუკეთოს ტილების სამუსვრელად.

ექიმის დანიშვნა. ქალაქის გამგეობამ ქალაქის ექიმთა კავშირის წარმომადგენლობისამებრ ქალაქის სამედიკო სასანიტარო ინსპექტორად დროებით ექიმი შალვა მიქელაძე დაინიშნა.

გაძარცვა 5 თებერვალს საღამოს 8 ნახ. საათზე მ. კოისუნკის ბინიდან, ნიკოლაევის ქუჩა № 112 წაიღეს 37000 მანეთი.

გვამი ინგლისის ჯარისკაცისა ღამით, თებერვლის 5-ს ვორონცოვის ქუჩაზე აღმოაჩინეს ინგლისელ ჯარისკაცის გვამი.

ქურდობა. ღამით, თებერვლის 5-ს ალიხანოვის ბინიდან, ნიკოლოზის ქუჩა № 64 მოიპარეს ფული და სხვა და სხვა ძვირფასი ნივთები, სულ 42 ათასი მანეთისა.

სახალხო უნივერსიტეტი. დღეს 7 თებერვალს საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია. 1. კ. ქავთარაძისა—ისტორ. 2. ალ. ჟორჟოლიანისა—ფსიხოლოგია.

„კეზონაფტოლი“. ქალაქის მედიკურ სასანიტარო საბჭომ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბაქოში თავისი მოხელე „კეზონაფტოლის“ (მწერის მმუსვრელი) საყიდლათ და ჩამოსატანად თბილისში.

სახელოსნო სასწავლებლის დახურვა. ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში სახადი გაჩნდა მოსწავლე მასწავლებელ მოსამსახურეთა შორის ქალაქის გამგეობამ სამი კვირით ვადით ეს სასწავლებელი დახურა.

თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საბჭომ შინაგან საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ მორიგ სხდომაზე განიხილა მიხეილის საავადმყოფოსა და საბჭეთა ინსტიტუტის რეორგანიზაციის საკითხი, რომ ამ დაწესებულებებით უნივერსიტეტმა ისარგებლოს თანახმად მთავრობის გადაწყვეტილებისა და დაადგინა: მოხდეს ზემოდასახელებულ დაწესებულებათა რეორგანიზაცია თანახმად სამკურნალო ფაკულტეტის მიერ ამა წლის 2 იანვარს შემუშავებული პროექტისა და ეცნობოს სამინისტროს, რომ ხსენებულ დაწესებულებათა სარგებლობის საბოლოო წესრიგის შესამუშავებლად და ამ საკითხის გამო სამინისტროსთან შესათანხმებლად უნივერსიტეტის საბჭო ნიშნავს კომისიას მემდეგ პირებისაგან: სამკურნალო ფაკულტ. დეკანის ვ. ტოსეშვილისა, პროფ. ა. სათიშვილისა და მედიც. დოქტორების ივ. თიკანაძისა და გრ. მუხაძისაგან. ამასთან ერთად უნივერსიტეტის საბჭომ წარმოუდგინა საორგანიზაციო პროექტი.

პუშკინის გიმნაზიის მასწავლებელთა გაფიცვა. პუშკინის გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის გაფიცვა დასრულდა; განათლების სამინისტრო საქმეში ჩაერია და დაადგინა, გიმნაზიის შემოსავალ-გასავლის რევიზია მოახდინოს. გააუმჯობესოს მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა. წინადადება მიეცა ერთ-ერთ გიმნაზიის დამფუძნებელ ძიძიშვილს, თავიდან მოიშოროს ორი გიმნაზიის დამფუძნებელი ამხანაგი. მასწავლებელთა კორპორაციამ დაადგინა, გამოაშკარავოს პრესის საშუალებით სია იმ მასწავლებელთა, რომელთაც გაფიცვის დროს ადგილები დაიჭირეს, მიუხედავად იმისა, რომ ადგილები ბოიკოტის ქვეშ გამოცხადებული იყო.

გ. ჯაბადარი და შ. ამირეჯიბი მთავრობის თავმჯდომარესთან. მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენენ ქართ. დრამატ. სტუდიის მთავარი რეჟისორი გ. ჯაბადარი და სტუდიის სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე შ. ამირეჯიბი, რომელთაც დახმარება სთხოვეს მთავრობას როგორც ფულით ისე მასალით ძველ ქართულ თეატრის გადასაკეთებლად. ბ-ნ ნ. ჟორდანიამ თხოვნა გულდასმით მოისმინა და ყოველგვარ დახმარება აღუთქვა.

ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის ქართ. კულტ.-განმანათ. საზ-ბის კრება კვირას, თებერვლის 9-ს, დილის 11 ნახ. ს. ქალთა მე-6-ე გიმნაზიაში მოხდება ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის ქართველთა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების კრება.

შემოწირულება ავლაბრის „წმინდა მარინეს“ სამრევლო საბჭომ შემოსწირა ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის ქართველთა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებას 1000 მან.,

ილ. ქურხული ჯავახელ ობოლ ბავშვებისთვის ილიკო ქურხულს თბილისში წითელ ჯვრის ყულაბებით ჯავახელ ობოლ ბავშვებისთვის შეუგროვებია ორასი (200 თუმანი) და დანიშნულებისამებრ გადაუცია.

ექიმთა კავშირის გამგეობა. საქართველოს რესპუბლიკის კავშირის გამგეობა სთხოვს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ექიმთ, ჩაეწერნენ კავშირის წევრად. საწევრო ფული 30 მან. წელიწადში. შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგი მისამართებით: 1) კავშირის თავმჯ. ი. ელიავშვილს, საპიორის ქუჩა № 11, 2) თავმჯდომარიჩ ამხ. ა. მაღალაშვილს, (ყორლანოვის ქ. № 12, 3) კავშირის მდივანს ი. ლომოურს, ქსენიევის ქუჩა, № 1†.

პროვინციის ცხოვრება
ალაზნის მხარე

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მთავარმა საბჭომ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ უკანასკნელ დროს ალაზნის გამოლმა რაიონში ძლიერ გახშირებულია ყაჩაღობა, რაც საგრძნობლად მოქმედობს საქონლის საზღვარგარეთიდან შემოზიდვაზე და ამით განახევრებულია საბაჟოს შემოსავალი. მთავარი საბაჟო სთხოვს შინაგან საქეთა სამინისტროს სათანადო ზომები.

ფ ო თ ი

5 თებერვალს საღამოს 8 საათზე შეჩჩნეულ იქნა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც დაახლოვებით 20 წამს გაგრძელდა. მუშათა სახლი, რომელიც ამას წინად დაკავებული იქნა ინგლისელების მიერ, უკანასკნელებმა გაანთავისუფლეს 5 თებერვალს.

ბათუმი. თებერვლის 3. გუშინ წარუდგა გუბერნატორს ბათუმის ქართველების კრების მიერ არჩეული დეპუტაცია, რომელიც მან ყურადღებით მიიღო. გუბერნატორმა სხვათა შორის წარმოსთქვა სინანული, რომ მათ ჯერ-ჯერობით ვერაფერი დახმარება გაუწევიათ მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის, ვინაიდან აქობამდე ჯარის გადაჯგუფებას უნდებოდითო. გუბერნატორმა იმედი გამოსთქვა, რომ ორი კვირის შემდეგ ექნებათ მათ საშუალება მოიტანონ საქონელი და ამით ცოტათ მაინც დავცემთ იმ სიძვირეს, რომელიც ჩვენ აქ დაგვხვდაო.

გაზ. „საქართვ.“ ფონდი

ვასილ ბეჟანის ძე ჩაჩიბაიამ ჩვენი გაზეთის ფონდს ასი (100) მანეთი შემოსწირა.

ია პარგარეთელის ნაშრომი

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ ი. კარგარეთელის ნაშრომი „ქართული მუსიკის ისტორია“ განსახილველად გადასცა საგანგებო არჩეულ კომისიას, რომელმაც განხილვის შემდეგ დაადგინა:

„ბ. ი. კარგარეთელის ნაშრომის დაბეჭდვა სასურველად ცნობილ იქმნას; მაგრამ რადგან ამ ჟამად საზოგადოდ წიგნების ბეჭდვა და კერძოდ ამ გვარი წიგნებისა (სურათებით და ნოტებიან ნიმუშებით) დიდ ხარჯს მოითხოვს, საზოგადოებას კი საჭირო თანხა არ მოეპოვება—მისი დაბეჭდვა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ საზოგადოებას საშუალება მიეცემა. ხოლო თუ მანამდე ავტორი შესაძლოთ ვერა სცნობს დაიცადოს, იმ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება მზად იქნება აღძრას შუამდგომლობა (თუ ავტორის სურვილიც იქნება) საქართველოს პარლამენტის ხელოვნების კომისიის წინაშე ამ ნაშრომის დაბეჭდის შესახებ“.

საზოგადოების თავმჯდომარე **ექვთიმე თაყაიშვილი.**

ქართული სამუს. სასწავლ. გახსნა ქუთაისში

(საკუთ. კორ.).

2 თებერვალს ქუთაისში გაიხსნა ქართული სამუსიკო სასწავლებელი. მრავალი საზოგადოება დაესწრო და გულწრფელი სიტყვები წარმოითქვა. სასწავლებელის დირექტორ-კომპოზ. მ. ბალანჩივაძეს თბილისიდან მრავალი მისალოცი დეპეშები მოუვიდა. მათ შორის განათლების მინისტრისაგან. საკონცერტო დარბაზში მუსიკალური დილა გაიმართა. რამდენიმე რომანსი ბალანჩივაძის ნაწარმოებიდან შეასრულა მომღერალ ვ. ლორთქიფანიძემ. „ღმერთო ძლიერო“ (თამარ ცბიერიდან) „სულო ბოროტო“ და სხვა.

სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი დღითი დღე იზრდება და დღემდე ორასამდეა კიდეც.

„თქმულება შოთა რუსთაველზე“

(ქართული ოპერა).

ოთხშაბათს ხუთ თებერვალს სახელმწიფო თეატრში ქართული ხელოვნების დღესასწაული იყო.

თეატრში თავი მოეყარა მთელ ქართველ ინტელიგენციას. განსაკუთრებულ პატივით იყვნენ შეპყრობილნი ჩვენი — ლიტერატორები.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დასდგეს დ. არაყიშვილის ორიგინალური ქართული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ჩვენ ყოველთვის დიდი გულის ყურით ვეკეკლოდით ყოველ ახალ დაწყებულ საქმეს და დღეს ვიხილეთ ის, რასაც დიდი ხანია ვნატრობდით.

აღმოსავლეთის მუსიკა ყოველთვის დიდს აღტაცებას იწვევდა სახელგანთქმულ ევროპიელ კომპოზიტორებში. ვერდიმ დასწერა გენიოსური „აიდა“ და აღმოსავლეთის კოლორიტში დასწვა თავისი პირველი მელოდიები. რუბენშტეინი, რიმსკი-კორსაკოვი, ჭალევი სულით მიისწრაფოდენ აღმოსავლეთისკენ და შეჰქმნეს მშვენიერი კომპოზიციები: „აღმოსავლეთში დიდი განძია დამარხული“ ამბობდა ვერდის მოწაფე პუჩინი. და თავის ოპერა „ბატერფლეი“-სში აღმოსავლეთის ინტიმური განცდანი გვიჩვენა.

დღეს ვხედავთ ჩვენ საკუთარ შემომქმედს, რომელმაც მოგვიტანა თავისი აღმოსავლეთის მუსიკა ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ქართული ოპერა ჯერ ძხოლოდ ისახება. მას არ გაუვლია ხელოვნების ევოლიუცია, არ გადასულა აუცილებელ ეტაპებს. დ. არაყიშვილის ქართული ორგინალური ოპერით იწყება პირველი საფეხური.

ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ აშენებულია მშვენიერ მომხიბლავ სვანურ ლეგენდაზე. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ამ ლეგენდის შინაარსი უკვე იყო დაბეჭდილი და ამიტომ მის გადმოცემას აღარ შეუდგებით.

იმისდა მიუხედავად რომ სიუჟეტი ფრიად საინტერესოა, ოპერა ვერ არის სათანადოთ შემუშავებული. ჩვენი უმთავრესი ყურადღება ოპერის, კომპოზიციის ორკესტროვკამ მიიქცია. დ. არაყიშვილის ინსტრუმენტოვკა შესანიშნავია. კომპოზიტორი მშვენივრად იმორჩილებს ორკესტრს და ჰქმნის ჰარმონიულ შეხმატკილებას. კარგია ოპერის უვერტიურა და უკანასკნელი ლირიულ-დრამატიული სცენა სადაც, ვიოლოების ფლაჟოლეტები და ტრემოლოები სასიამოვნო ჰარმონიზაციას ჰქმნის. საზოგადოებას დიდად მოეწონა ოპერა და ჩვენც ვულოცავთ კომპოზიტორს. დ. არაყიშვილის ნაწარმოები სერიოზული ყურადღების ღირსია.

შესრულების მხრით ყველაზე მეტად ბ-ნი პოლიაევი მოგვეწონა, რომელიც პატარა პარტიას მღეროდა (აბდულ არაბი). მომღერალი შესანიშნავად ხმარობს ხმას. ყოველ რეგისტრს იმორჩილებს და თავის ხმის ბგერას მშვენიერ შეხმატკბილებას აძლევს. განსაკუთრებით მოსაწონია მისი ფერმეტები. ქართულ სიტყვებსაც მშვენივრად და მარტივად გამოსთქვამდა.

ქ-ნი შულგინაც ღირსეული პარტნიორი იყო პოლიაევისა. გულჩინას პარტიაში გაცილებით კარგი იყო ვიდრე თამარისაში (დემონი).

ქ-ნი სპიტკოს (თამარ მეფე) და ბ-ნ სარაჯიშვილს (შოთა რუსთაველი) წილად ხვდად სუსტი პარტიები. პირველსაც და მეორესაც ცოტა აქვთ მოქმედება და არც მათი ვოკალური მხარეა მაინცა და მაინც ხელსაყრელი. ამიტომაც ქ-ნი სპიტკო და ბ-ნი სარაჯიშვილი ცოტა არ იყოს უხერხულადა გრძნობდნენ თავს.

კარგი იყო ბ-ნი ინაშვილი (მგოსანი-ბაიანო). ბ-ნ ინაშვილს მეტად სასიამოვნო ტემბრის ლირიკო—დრამატიული ბარიტონი აქვს.

ოპერაში ყურადღებას იქცევს პირველი სურათის ცეკვა.

ოპერა დაედგა ბ-ნ ალ. წუწუნავას, შეიძლება კოსტიუმებში ბევრში არ დავეთანხმოთ, შესაძლოა ზოგადი „კოპიროვკა“ მოეხდინა ალ. წუწუნავას, მაგრამ იგი რომ ყოველთვის იდეიურად აწყობს სცენას—ამაში ეჭვი არ არის.

დ. არაყიშვილის ოპერამ ბევრი იმედები აღგვიძრა უკეთესი მომავლისადმი. ჩვენ გვრწამს, რომ ქართული ოპერა ფეხს მოიკიდებს და სათანადო განვითარებამდე მივა კიდეც. მხოლოდ ამისთვის საჭიროა შრომა, სპეციალური სწავლა-მომზადება და იმ მასალის შემუშავება, რომელიც ძვირფას განძსავით არის დღეს დამარხული.

ვ. გარრიკი.

ფედერალისტები არჩევნებში.

წერილი სამუხრანოდან.

მოახლოვდა დამფუძნებელ კრების არჩევნები. სოფლები გაივსო პარტიათა ახლად შობილ პროპაგანდისტებით. მოდიან გუნდები, მოდიან ქარავანები ცარიელა სიტყვებით და უნდო დაპირებებით.

ფედერალისტები: ამაყები, ნაცარქექიები ცარიელა სიტყვები, თავის ქება. ყვირილი. ვინც მათი მომხრეა ჯილდოთ ვინტოვკას აძლევენ.

დუშეთის მაზრამ სწორედ ამ ვინტოვკებისთვის მოახდინა აჯანყება წარსულ წელს და ფედერალისტებმაც ალბად გაუგეს ხალხს სულისკვეთება.

ხალხში ხმებია: ვინტოვკების წყალობით დუშეთის მაზრა სოც.-ფედერალისტების ბე-5-ე ნომერს აძლევს ხმასაო.

მნახველი.

უწესოებანი რკინის გზაზე

თბილისის სადგურის კასასთან უსაოუოდ სამი და ოთხი დღე უნდა იდგე, რომ გორამდე საჭირო ბილეთი აიღო. რაც უნდა ადრე ჩადგეთ რიგში, მაინც ვერ ეღირსებით თქვენ ბილეთს!.. რკინის გზის მებარგული მუშები მიდიან წინ, იღებენ 10—20 ბილეთს ერთად, ჰყიდიან სხვებზე იქვე და გულუბრყვილო მგზავრები კი რჩებიან და წვალობენ უბილეთობით სამ-სამ დღეობით. კარგი იქნება ვისაც ჯერარს მიაქცევდენ ყურადღებას.

* * *

თბილის სადგურზე ისე ვერ გადასდგამ ფეხს, რომ მომჩივრები არ შეგხვდეთ: ქუთაისიდან, გორიდან და სხვა ალაგებიდან ბარგი (ტვირთი) გამოგვზავნეთ, ზოგი მივიღეთ და ზოგი-კი დაუკარგიათო. შედის სადგურის უფროსთან მრავალი საჩივარი, სდგება აქტები და ბოლოს კი არაფერი გამოდის... ბარგი იკარგება არტელის ბარგის კონდუქტორის და საწყობეს შორის. რასაც ფასი არ ადევს, ნაკლებ ღირებულებისაა, ისინი მთლიანად, უკლებლივ ჰბარდებათ და რაც კი საძვირფასოა იკარგება ღა გულხელ დაკრეფილი და ცრემლიანი თვალებით დაიარებიან პატრონები. როდის მოეღება ამგვარ უწესოებას და რკინის გზაზე მოსამსახურეთა ძარცვა-გლეჯის მადას როდის ლაგამი ამოედება...

* * *

4 თებერვალს ღამის 11 ს. თბილისის სადგურზე ასტყდა სროლა. ხალხი საშინლად დაფრთხა. შედეგი გამოურკვეველია.

—

საადრესო მაგიდასთან.

საბინაო წიგნების გამო ხალხი თავს იყრის საადრესო მაგიდასთან და წიგნების უქონლობისა გამო ზოგი მთელი კვირაობით სცდება საქმეებს და სახლს. ხალხი დილის 8 საათიდან დგება რიგში მხოლოდ მისთვის რომ წიგნის მაგიერ მიიღოს №-რი, ნომრით ოთხიოდე დღეს დადიხარ და მეხუთეზე დღეზე ძლივს გეღირსებათ ზოგიერთებს საბინაო წიგნით 5 თებერვალს მრავალი ხალხი მოაწყდა ნომრიანი და უნომრო საბინაო წიგნების მისაღებადო საყიდლად. დილიდან მოკიდებული შესცქეროდნენ და 30 წიგნის მეტი კი ვერ წაიღეს; ზოგნი გატეხილ ფანჯრიდან ძვრებოდნენ ბიჭები და დედაკაცებიც და გადმოჰქონდათ. ბიჭები იქვე 6 მანათ. ნაყიდ წიგნებს 10 მან. ჰყიდნენ. ნომრების დარიგებაზე ასტყდა საშინელი მიწყვეტ-მოწყვეტა, ბევრი დედაბერი და ბავშვი აცრემლდა და იქვე მყოფმა მილიციონერებმა და კამისარმა წესიერება ვერ დაამყარეს. ერთი კვირის წინად საბინაო წიგნები ფასობდა 3 მან. და 20 კაპ., დღეს კი 6 მან. დაწერილია არა მარტო ქართულად, არამედ ორივ ენაზე და ეს ზედმეტი ხარჯის გამომწვევია ხომ, რად სთხოვენ ძველ წიგნების დაცვლას მაშინ,